

აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი

ქართულმა მეცნიერებამ, ქვეყნის სამეცნიერო ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ქართული ქიმიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი **გიორგი მლაღიძეშვილი**.

აკადემიკოს გიორგი ციციშვილს არსებითი წვლილი მიუძღვის ფიზიკური ქიმიის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების განვითარებაში, როგორც არის ნივთიერების აღნაგობა და სორბციული პროცესები. ბატონმა გიორგიმ შექმნა ქართული ადსორბციული სკოლა და საფუძველი ჩაუყარა ზედაპირული მოვლენების ქიმიის განვითარებას საქართველოში.

გიორგი ციციშვილი დაიბადა 1915 წლის 24 ოქტომბერს ქ. თბილისში ექიმის ოჯახში. 1931 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და 1932 წელს შევიდა ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე. ქიმიის და ფიზიკის უფრო ღრმად შესწავლის მიზნით, 1935 წელს იგი გადავიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1937 წელს და ჩაირიცხა ასპირანტურაში. გ.ციციშვილი საასპირანტო კურსის გასავლელად 1938 წლის დასაწყისში მივლინებული იყო ქ. მოსკოვის ბ. კარპოვის სახელობის ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში. აქ მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1940 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე უფროს მასწავლებლად, ხოლო 1942 წლიდან – დოცენტად.

1947 წელს ბატონმა გიორგიმ დაიცვა დისერტაცია ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ორი წლის შემდეგ იგი თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის პროფესორი გახდა.

1941 წელს მან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში, ხოლო 1947 წლიდან იგი ამ ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა და არჩეულ იქნა ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის გამგედ.

აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩატარდა ამ ინსტიტუტის სტრუქტურის და ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების განსაზღვრისა და დახვეწისათვის. სულ მალე ეს ინსტიტუტი ერთ-ერთ აღიარებულ სამეცნიერო ცენტრად გადაიქცა.

1950 წელს ბატონი გიორგი ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

გიორგი ციციშვილის გამოკვლევათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია კვლევები მოლეკულური ურთიერთქმედების დარგში, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ამოცანა მოლეკულებს შორის განზიდვაზე პოლარობის გავლენის შესახებ და შემუშავდა მისი გადაწყვეტის კვანთურ-ქიმიური მეთოდი.

ბატონი გიორგი საქართველოში ბუნებრივი ცეოლითების კვლევის, წარმოების ორგანიზაციის და სახალხო მეურნეობაში გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გახლდათ. მისი მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობის მე-

ობებით თბილისი ცეოლითების კვლევისა და გამოყენების წამყვან ცენტრად იქცა. ამის დამადასტურებელია ის, რომ ქართველი მეცნიერის მიერ ჩამოყალიბებული ცეოლითების საქართველოს ასოციაცია მიღებულ იქნა ცეოლითების ასოციაციების ევროპულ ასოციაციაში, ხოლო თვითონ გიორგი ციციშვილი შეყვანილ იქნა ევროპული ასოციაციის ფედერაციის შემადგენლობაში.

1965 წელს გ.ციციშვილის, თ. ანდრონიკაშვილის და გ.ბაგრატიშვილის წაშრობა ციციშვილი, რომელიც მიეძღვნა სინთეზური ცეოლითების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემიით აღინიშნა. 20 წლის შემდეგ გამომცემლობა „ქიმია“ (მოსკოვი) გამოსცა გ. ციციშვილის, თ. ანდრონიკაშვილის, გ. კიროვის, ლ. ფილიზოვას წიგნი – „ბუნებრივი ცეოლითები“. მოგვიანებით ეს მონოგრაფია დაჯილდოვდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემიით. შემდგომ გამოვიდა ამ წიგნის თარგმანი პოლონურ (1990 წ.) და ინგლისურ (1992 წ.) ენებზე. ამ წაშრომებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს გიორგი ციციშვილს საქართველოში ქიმიური მეცნიერების განვითარების საქმეში. თითქმის სამი ათწლეული წელი ბატონი გიორგი უწარჩინად ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიურ ტექნოლოგიის განყოფილებას და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა განყოფილებაში შემაჯავლი ინსტიტუტების სამეცნიერო კვლევა-ძიების პროორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

1975 წელს აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ინიციატივით დაარსდა ჟურნალი „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს ქიმიური სერია“, რომლის მთავარი რედაქტორი 15 წლის მანძილზე თვითონ ბრძანდებოდა.

დიდა გიორგი ციციშვილის დამსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდის, საქართველოში სამეცნიერო კადრების მომზადების კეთილშობილურ საქმეში. ამის ნათელი დადასტურებაა მისი ხანგრძლივი ნაყოფიერი შედეგოგობრივი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გიორგი ციციშვილმა დიდი დრო და ენერგია მოახმარა საერთაშორისო თუ რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოებების, საბჭოების, კონიტეტებისა და კომისიების მუშაობას. მისი თავდადებული შრომის შედეგად 2004 წელს გამოიცა ოთხენოვანი ქიმიური ლექსიკონი, რითაც ქართველი ერისათვის საშვილიშვილი საქმე გაკეთდა.

გიორგი ციციშვილის დიდი ღვაწლი ქართული მეცნიერების განვითარებაში სათანადოდაა დაფასებული. იგი დაჯილდოებული იყო მთავრობის მრავალი ორდენითა და მედლით.

აკადემიკოს გიორგი ციციშვილის გარდაცვალება უაღრესად დიდი დანაკლისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის, მთლიანად საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებისათვის.



Curriculum Vitae

სახელი	გიორგი
გვარი	ციციშვილი
დაბადების თარიღი და ადგილი:	1915 წლის 24 ოქტომბერი, ქ. თბილისი
სამსახურის მისამართი:	თბილისი, რუსთაველის გამზ. 52, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
განათლება:	უმაღლესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამეცნიერო ხარისხი და წოდება:	
1938-1940	სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბ.კარპოვის სახ. ფიზიკურ-ქიმიური ინსტიტუტის საპირანტი
1940	ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი
1947	ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი
1949	პროფესორი
1950	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
1960	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
დაკავებული თანამდებობები:	
1940	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი
1941-47	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
1947-1989	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ.მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი
1963-1989	საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი
1989 წლიდან დღემდე	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, შემდეგ – აკადემიური საბჭოს მრჩეველი
მეცნიერული ინტერესების სფერო:	თეორიული და ფიზიკური ქიმია, სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითები
გამოქვეყნებული შრომების საერთო რაოდენობა:	660
ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი:	<ol style="list-style-type: none">1. სორბციული პროცესები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959, 465 გვ.2. Zeolites as Molecular Sieves. Ideen des exacten Wissens. Stuttgart: DVA, 1972, v. 73. Адсорбционные, хроматографические и спектральные свойства высококремнистых молекулярных сит. Тбилиси «Мецნიერება», 1979, 148 с.4. Natural Zeolites. Chichester: Ellis Horwood, 1992, 295 p. (Co-authors T.G. Andronikashvili, G.N.Kiriv, L.D.Filizova)5. კვანტური ქიმია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1996, 359 გვ.
პრემიები, ჯილდოები:	1944 – მედალი “კავკასიის დაცვისათვის” 1946 – მედალი “1941-45 წწ. დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის” 1954 – მედალი “მამაცური შრომისათვის” 1985 – ორდენი “ხალხთა მეგობრობის” 1966 – მედალი “დიდ სამამულო ომში გამარჯვების 20 წელი” 1975 – მედალი “დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წელი” 1985 – მედალი “დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წელი” 1965 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე

მელიქიშვილის სახელობის პრემია

1987 – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ა.თვალჭრელიძის სახელობის პრემია

1990 – სკ მინისტრთა საბჭოს პრემია

1995 – საქართველოს “ღირსების” ორდენი

საკონტაქტო ტელეფონი:

(+995 32) 99 54 80 (სამსახური)

ელ-ფოსტა:

g.tsitsishvili@gmail.com

ფასდაუღებელი ღვაწლი

ბას ული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ციციშვილი აღიარებული იყო როგორც საქართველოში წამყვანი სპეციალისტი ქიმიის დარგში, იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან დავალებებს ასრულებდა. 1949 წელს გიორგი ციციშვილი მივიღინებული იყო მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც შეუთანხმდა ქიმიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს აკადემიკოს მიხეილ დუბინინს თბილისში გამსვლელი სესიის ჩატარების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ნიკოლა მუსხელიშვილის ხელშეწყობით სესია ჩატარდა ამავე წლის შემოდგომაზე და ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ჩვენ ქვეყანაში ქიმიის განვითარებას.

1950 წლის 28 დეკემბერს გიორგი ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილების წევრ-კორესპონდენტად სპეციალობით „ფიზიკური ქიმია“.

გიორგი ციციშვილი აქტიურად შეუდგა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას - მისი ინიციატივით და ძალისხმევით 1953 წლიდან ტარდებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების ქიმიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესიები.

1959 წელს გიორგი ციციშვილი აირ-

ჩიეს განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ და ბიუროს წევრად, ხოლო 1960 წელს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და მან აქტიური მონაწილეობა მიიღო აკადემიის განვითარების საქმეში. 1963 წლის ოქტომბერში ჩატარდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელზეც მიღებული იყო აკადემიის ახალი წესდება და დამტკიცდა ახალი სტრუქტურა, ხოლო ბატონი გიორგი არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრად და ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანად.

განყოფილება ხელმძღვანელობდა პეტრე მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, რაფიელ აგლაძის სახ. არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის, ფერდინანდ თავაძის სახ. მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტისა და იოველ ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობას, აწარმოებდა ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების დარგში საქართველოში მიმდინარე კვლევების კოორდინირებას, რაც უხებოდა საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის - ნავთობისა და გაზის, მანგანუმისა და ცეოლითების, სხვა ბუნებრივი, მათ შორის მცენარეული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ასევე მეტალურგიული დარგის განვითარებას, სამკურნალ-სამლო პრეპარატების, სასოფლო-სამეურნეო საშუალებებისა და პოლი-

მერული მასალების წარმოებას და სხვ. განყოფილება მჭიდროდ თანამშრომლობდა როგორც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის განყოფილებასთან, ისე ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის, რუმინეთის, პოლონეთის, ბულგარეთისა და უნგრეთის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიებთან, კუბისა და ვიეტნამის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან, რაზეც მეტყველებს საქართველოში ჩატარებული მრავალი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი. აკადემიკოს გიორგი ციციშვილის აქტიური პოზიციის შედეგად ქართველი ქიმიკოსებს საშუალება ჰქონდა წარმოებინა გამოკვლევები მოწინავე სამეცნიერო ცენტრებში.

თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში გიორგი ციციშვილი სათავეში ედგას საქართველოში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განვითარებას. 1989 წლიდან ბატონი გიორგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ამჟამად - აკადემიური საბჭოს მრჩეველი და პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი.

გიორგი ციციშვილი ხელმძღვანელობდა ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებას, როცა მისი წევრები გახდნენ დღესაც აქტიურად მომუშავე ქართველი მეცნიერები - ეთერ ქემერტელიძე, თეიმურაზ ანდრონიკაშვილი, ირაკლი ჟორდანიანი, კობია ჯაფარიძე და ამ მოკლე ნარკვევის ავტორი, რომელიც გულწრფელად ულოცავს ბატონ გიორგის სახელოვან იუბილეს და უსურვებს მას ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

**აკადემიკოსი
ბივი ცინცაძე**

მსოფლიოში აღიარებული

ქიმიის დარგში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი გიორგი ციციშვილი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს მთავარი ქიმიკოსია. ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობა, გამორჩეული ნიჭი და კეთილმოსურნეობა შესაძლებლობას აძლევდა მას ათეული წლების განმავლობაში წარემართა საქართველოში ქიმიური მეცნიერების განვითარება.

განსაკუთრებით დიდია აკადემიკოს გიორგი ციციშვილის ღვაწლი ქიმიის ინსტიტუტის განვითარებაში და შემდგომ გავრთობაში. მან ჩაიბარა ეს ინსტიტუტი 1947 წელს სრულიად ახალგაზრდამ, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის პირადი რეკომენდაციით. ეს იყო ომის შემდგომი წლები, გადაჭვრიტული სოციალური და ეკონომიკური სიძნელეებით, ასევე რთული იყო მდგომარეობა ინსტიტუტის კოლექტივშიც. გიორგი ციციშვილის მალაშა პიროვნულმა ავტორიტეტმა ხელი შეუწყო ინსტიტუტში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნას და სამუშაოთა პოზიტიურ განვითარებას. მისი ინიციატივით ინსტიტუტს აღუდგა თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის პეტრე მელიქიშვილის სახელი და შემდგომში ამ ინსტიტუტის საფუძველზე ხელი შეეწყო რამდენიმე ახალი ინსტიტუტის შექმნას.

ბატონი გიორგი გულისხმობდა ეკიდება ახალგაზრდა კადრების შერჩევასა და აღზრდას, მათ მეცნიერულ ნიშნულას.

ბატონი გიორგი გულისხმობდა ეკიდება ახალგაზრდა კადრების შერჩევასა და აღზრდას, მათ მეცნიერულ ნიშნულას. ცალკე აღსანიშნავია მისი ტაქტი და მოზომილი ურთიერთობა თანამშრომლებთან.

ცალკე აღსანიშნავია მისი ტაქტი და მოზომილი ურთიერთობა თანამშრომლებთან. ბატონი გიორგი ყოველთვის ღია რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის, იგი დიდი ინტერესით ეცნობა ახალ მეცნიერულ ინფორმაციას, მისი თითოეული რჩევა გამსჭვალულია კეთილმოსურნეობით და ზრუნვით. 95 წლის აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი დღესაც სამაგალითოა, როგორც მეცნიერი და პიროვნება.

**პროფესორი
აბთანდილ დოლიძე**

სამართლმცოდნეობის მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში

ღამსასურებული პატივები

21 ოქტომბერს აკადემიური საბჭოს სხდომათა ხალხით სასვე დარბაზი ღამსაზე ცერემონიის მონაწილე გახდა: აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ სმეიას უცხოელი წევრის დიპლომი გადასცა მსოფლიო სახელის ქორუტა-ონკოლოგს, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ამას წინათ სხვებთან ერთად არჩეულ ჯამილ აზიზის ძე ალიევს (დრონი მეფობენ და დიდი ხნის მოძმე და მეზობელი აზერბაიჯანი უცხოეთი გახდა...).

ბატონმა თამაზმა გულითადად მიულოცა ძვირფას სტუმარს ასეთი პატივი და დაულოცა დასტაქრული მარჯვენა, რომელსაც ამდენი სიცოცხლე გადაურჩენია და საჩვენებელი ოპერაციები გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და სხვაგან გაუკეთებია.

ჯამილ ალიევი გახლავთ რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ლონდონის უნივერსიტეტის პამერსმიტის პოსპიტალის საპატიო წევრი და კიდევ მრავალი პრესტიჟული ორგანიზაციით სახელდებული - მსოფლიო სახელმწიფო ხომ ეს არის!

სტუმარმა მხურვალე მადლობა გადაიხადა ესოდენ მაღალი პატივისათვის და განსაკუთრებული სიმპათია გამოთქვა საქართველოსა და მისი ხალხის მიმართ, ხაზი გაუსვა რა ორი მეზობელი ქვეყნისა და იმართ სწავლულების ძველ მეგობრობას. ჯამილ აზიზის ძემ რუსულ ენაზე წავიკითხა მოხსენება „აზერბაიჯანის რესპუბლიკის ონკოლოგიური სამსახური და მისი განვითარების პერსპექტივები“, ეკრანზე უხვად ილუსტრირებული.

შეკითხვებიდან ერთი ჩვენი გაზეთის სახელითაც დაისვა: როგორ ფიქრობს ბატონი ჯამილი, შესაძლებელია თუ არა 21-ე საუკუნეში კიბოს დამარცხება?

— იმედს არ ვკარგავთ, რომ ასე მოხდება, ყველაფერი აქეთ მიდის. ჩვენს სფეროში მიღწევების წყალობით ადამიანები უკვე ცოცხლობენ დიდხანსო, — იყო გამოჩენილი მედიკოსის პასუხი.

მოსხენებას მოჰყვა მილოცვებისა და მისალმებების გაგრძელება, საჩუქრების გაცეცხლა-გამოცეცხლა (ჩვენს აკადემიას სამსახუროდ ბაქოსხედე ბიანი მშვენიერი სურათი დარჩება), შამპანურიანი სასმისის ჩამოტარება...

მილოცველთა და მიმსალმებელთა შორის გახლდნენ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ანდრეა ურუშაძე, ეროვნული ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი რევაზ გაგუა.

ბატონმა რევაზმა შეგვახსენა დამსწრეთ, რომ ონკოლოგიაში ჯამილ ალიევის დამსახურებები თავის დროზე აღნიშნული იყო საქართველოს ეროვნული ონკოცენტრის ოქროს მედლითა და საპატიო დოქტორის დიპლომით. მანვე ერთობ კავკასიური კიბოსანინაზმდევო ალიანსის შექმნა, რომლის ინიციატორები აზერბაიჯანისა და საქართველოს ონკოლოგები იქნებიან...

შინაარსიანი სააკადემიო ცხოვრება გრძელდება და ოქტომბრის ბოლომდე კიდევ რამდენიმე საგულისყურო ღონისძიება დაგეგმილი.

თამაზ ებანოიძე